საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება სექსუალური უმცირესობების მიმართ

დაჩი დაიური

(კავკასიის უნივერსიტეტი, ფსიქოლოგიის ბაკალავრიატის სტუდენტი)

კავკასიის ბარომეტრის ფარგლებში 2019-2024 წლებში შეგროვებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ 2019 წლის შემდგომ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება სექსუალური უმცირესობების მიმართ შეიცვალა. კერძოდ, მონაცემების მიხედვით, დღესდღეობით საქართველოს მაცხოვრებლებს მეტი მიმღებლობა აქვთ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართ.

2019 წლიდან 2024 წლამდე შემცირდა იმ ადამიანების პროცენტული წილი, რომლებიც არ ისურვებდნენ, მეზობლად ჰყოლოდათ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელი. 2019 წელს ეს მონაცემი 24%-ს შეადგენდა, ხოლო 2024 წლისთვის 9%-მდე არის შემცირებული.



შენიშვნა: *პასუხის ვარიანტები: „ნარკომანები“,„კრიმინალები“,„თქვენგან განსხვავებული რელიგიის მიმდევრები“, „თქვენგან განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანები“, „შავკანიანები“, „უცხოელები აზიის ქვეყნებიდან“, „ვინც საქართველოში საცხოვრებლად ჩამოდიან“, „უცხოელები ევროპის ქვეყნებიდან“, „ვინც საქართველოში საცხოვრებლად ჩამოდიან“ და „სხვა“, გადაკოდილია კატეგორიაში „სხვა“. ასევე, 2019 წელს პასუხის ვარიანტი იყო „ჰომოსექსუალები“, ნაცვლად „სექსუალური უმცირესობებისა“.*

ასევე შეიცვალა მოსახლეობის დამოკიდებულება იმის შესახებ, მოუწონებდნენ თუ არა ისინი სხვას სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთან საქმიან ურთიერთობებს. 2019 წელს საქართველოს მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ, კერძოდ, 87%-მა გამოთქვა შეხედულება, რომ ისინი არ მოუწონებდნენ სხვას სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთან საქმიან ურთიერთობებს და მხოლოდ 10% ამბობდა, რომ ამ ქცევას მოიწონებდა. 2024 წლის მაჩვენებლებით, იმ ადამიანების წილი, რომლებიც ამგვარ ქმედებას არ მოიწონებდნენ, 73%-მდე შემცირდა, ხოლო საპირისპირო შეხედულების მქონე ადამიანების წილი 19%-მდე გაიზარდა.



თუკი შევხედავთ მონაცემებს იმის შესახებ, თუ ვის არ ისურვებდნენ მეზობლად - სექსუალურ უმცირესობებს თუ სხვას - ასაკობრივი ჯგუფების, სქესის, დასახლების ტიპისა და ეთნიკური წარმომადგენლობის მიხედვით, დავინახავთ გარკვეულ განსხვავებებს. სექსუალური უმცირესობის შემთხვევაში 2019 წელს ასაკობრივ ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ შეინიშნებოდა, ხოლო 54 წელზე უფროსი ასაკობრივი ჯგუფი მეტად გამოთქვამდა შეხედულებას, რომ არცერთს არ ისურვებდა მეზობლად. 2019 წლისგან განსხვავებით, 2024 წელს ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებმა დანარჩენ ორ ჯგუფთან შედარებით ნაკლებად დაასახელეს სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელი არასასურველ მეზობლად. ორივე წლის მონაცემების მიხედვით, 54 წელზე უფროსი ასაკობრივი ჯგუფი ნაკლებად არის მიდრეკილი დაასახელოს სხვა კატეგორია არასასურველ მეზობლად.





შენიშვნა: *2019 წელს პასუხის ვარიანტი იყო „ჰომოსექსუალები“, ნაცვლად „სექსუალური უმცირესობებისა“.*

რაც შეეხება სქესთა შორის განსხვავებას, 2019 წელს ქალები უფრო ნაკლებად იყვნენ მიდრეკილნი, დაესახელებინათ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელი არასასურველ მეზობლად, ვიდრე კაცები. ასევე, ქალები მეტად ასახელებდნენ სხვა კატეგორიას. 2024 წლის მონაცემებით სქესთა შორის ამ მხრივ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება აღარ გამოიკვეთა.





შენიშვნა: *2019 წელს პასუხის ვარიანტი იყო „ჰომოსექსუალები“, ნაცვლად „სექსუალური უმცირესობებისა“.*

რაც შეეხება განსხვავებას დასახლების ტიპის მიხედვით, 2019 წელს დედაქალაქის მაცხოვრებლები უფრო ნაკლებად ასახელებდნენ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელს არასასურველ მეზობლად, ვიდრე სოფლების მაცხოვრებლები. ასევე, დედაქალაქის მაცხოვრებლები მეტად იყვნენ მიდრეკილნი დაესახელებინათ სხვა კატეგორია, ხოლო ნაკლებად ასახელებდნენ არცერთს. 2024 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, დასახლების ტიპის მიხედვით განსხვავება იმაში, თუ ვინ არ ისურვებდა მეზობლად

სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელს, აღარ შეინიშნება. სხვა კატეგორიისა და არცერთის შემთხვევაში, ჯგუფებს შორის განსხვავების იგივე ტენდენციაა.





შენიშვნა: *2019 წელს პასუხის ვარიანტი იყო „ჰომოსექსუალები“, ნაცვლად „სექსუალური უმცირესობებისა“.*

რაც შეეხება განსხვავებას ეთნიკური ჯგუფების მიხედვით, 2019 წელს ეთნიკური ქართველები უფრო მეტად იყვნენ მიდრეკილნი, დაესახელებინათ სექსუალური უმცირესობები ან არცერთი, ხოლო ნაკლებად ასახელებდნენ სხვა კატეგორიას ამავე კითხვის პასუხად, ვიდრე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები. 2024 წელს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები კვლავ უფრო ნაკლებად ასახელებდნენ სექსუალურ უმცირესობებს არასასურველ მეზობლებად, ვიდრე ქართველები, თუმცა სხვა კატეგორიებში განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღარ არის.





შენიშვნა: *2019 წელს პასუხის ვარიანტი იყო „ჰომოსექსუალები“, ნაცვლად „სექსუალური უმცირესობებისა“. ეთნიკურად ქართველის გარდა, ყველა დაჯგუფებულია ჯგუფში „ეთნიკური უმცირესობა“.*

ასევე, საინტერესო განსხვავებებს შევნიშნავთ, თუკი მოსახლეობის დამოკიდებულებას სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთან საქმიან ურთიერთობებზე ასაკობრივი ჯგუფების, სქესის, დასახლების ტიპისა და ეთნიკური ჯგუფების მიხედვით განვიხილავთ.

2019 წლის, ისევე როგორც 2024 წლის მონაცემებით, ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები მეტად იყვნენ მიდრეკილნი, დაესახელებინათ, რომ მოუწონებდნენ ადამიანს სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთან საქმიან ურთიერთობას და ნაკლებად ასახელებდნენ არ ვიცი/უარი პასუხზე, ვიდრე შედარებით უფროსი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები.





რაც შეეხება ამ მაჩვენებელში სქესთა შორის განსხვავებას, 2019 წელს ქალების უფრო დიდი ნაწილი, ვიდრე მამაკაცების, თვლიდა, რომ სხვა ადამიანს სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთან საქმიან ურთიერთობებს მოუწონებდა. 2024 წლისთვის სქესთა შორის მნიშვნელოვანი განსხვავება აღარ გამოიკვეთა.





რაც შეეხება განსხვავებას დასახლების ტიპის მიხედვით, 2019 წლისა და 2024 წლის მონაცემებით, დედაქალაქში მცხოვრები ადამიანები მეტად ასახელებდნენ, რომ მოუწონებდნენ

სხვას სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთან საქმიან ურთიერთობებს, ხოლო ნაკლებად აფიქსირებდნენ არ ვიცი/უარი პასუხზე.





2019 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები ნაკლებად მოუწონებდნენ სხვებს სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელთან საქმიან ურთიერთობებს, ვიდრე ეთნიკურად ქართველები. 2024 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, აზრთა სხვადასხვაობა აღარ შეინიშნებოდა.





ამ მონაცემების საფუძველზე რამდენიმე დასკვნის გაკეთება შეგვიძლია. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ, ზოგადად, საქართველოს მოსახლეობა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში უფრო მეტად ტოლერანტული გახდა სექსუალური უმცირესობების მიმართ. 2019 წლიდან 2024 წლამდე მნიშვნელოვნად შემცირდა იმ ადამიანების წილი, რომლებიც არ ისურვებდნენ მეზობლად ჰყოლოდათ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელი. ამავე

წლებში გაიზარდა იმ ადამიანების წილი, რომლებიც მოუწონებდნენ სხვას სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთან საქმიან ურთიერთობებს, ხოლო საპირისპირო შეხედულების მქონე ადამიანების წილი შემცირდა.

2019 წელთან შედარებით 2024 წელს ნებისმიერი ასაკის, სქესის, დასახლების ტიპის მქონე და ეთნიკური წარმომავლობის ადამიანი ნაკლებად ასახელებდნენ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელი არასასურველ მეზობლად. რაც შეეხება თავად ჯგუფებს შორის განსხვავებებს, 2024 წლისთვის ახალგაზრდები ყველაზე ნაკლებად მიდრეკილნი აღმოჩდნენ, არასასურველ მეზობლად სექსუალური უმცირესობები დაესახელებინათ, განსხვავებით 2019 წლისგან, როდესაც ასაკობრივ ჯგუფებს შორის განსხვავება არ შეინიშნებოდა. თუმცა, ორივე წლის მონაცემების შემთხვევაში 54 წელზე უფროსი მოსახლეობა არასასურველ მეზობლად სხვა კატეგორიას ნაკლებად ასახელებდა, ვიდრე ახალგაზრდები.

2024 წელს აღარ შეინიშნება ამ მხრივ სქესთა შორის განსხვავება, მაშინ როდესაც 2019 წელს კაცებს სექსუალური უმცირესობები მეზობლად ნაკლებად სურდათ, სხვა კატეგორია კი - მეტად.

2024 წელს ასევე აღარ გამოიკვეთა განსხვავება სხვადასხვა დასახლების ტიპების მქონე ადამიანებს შორის, მაშინ როცა 2019 წელს დედაქალაქის მოსახლეობა უფრო ნაკლებად ასახელებდა სექსუალურ უმცირესობებს, ვიდრე სხვა ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობა. ორივე წლის შემთხვევაში დედაქალაქის მოსახლეობა სხვა კატეგორიის წარმომადგენლებს უფრო არ ისურვებდა მეზობლად, ვიდრე სხვა ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობა.

ხოლო, რაც შეეხება განსხვავებას სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის, ქართველები, ეთნიკურ უმცირესობებთან შედარებით, 2024 წელს, ისევე როგორც 2019-ში, სექსუალურ უმცირესობებს მეტად ასახელებდნენ.

მსგავსად შესაძლოა ითქვას, რომ განურჩევლად ასაკისა, სქესისა, დასახლების ტიპისა და ეთნიკური წარმომადგენლობისა, 2024 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა გახდა მეტად მიდრეკილი, მოიწონონ საქმიანი ურთიერთობები სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთან. რაც შეეხება თავად ჯგუფებს შორის განსხვავებებს, 2019 წელს რაც უფრო ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნებოდა ადამიანი, მით უფრო მეტად იყო მიდრეკილი, მოეწონებინა ასეთი ქცევა, 2024 წელს კი ეს ტენდენცია არ შეცვლილა. ასევე, ორივე წელს უფროსი ასაკის ჯგუფებმა მეტად არ იცოდნენ ან უარს აცხადებდნენ პასუხზე, ვიდრე ახალგაზრდები.

2019 წელს ქალები მეტად იწონებდნენ ასეთ ქცევას, 2024 წელს კი სქესთა შორის აღარ შეინიშნება განსხვავება.

2019 წელს, ისევე როგორც 2024-ში, დედაქალაქში მცხოვრები ადამიანები მეტად იწონებდნენ ასეთ ქცევას, ვიდრე სხვა ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრები ადამიანები. მათ ასევე ნაკლებად ახასიათებდათ პასუხზე უარის თქმა ან „არ ვიცის“ დაფიქსირება.

ხოლო რაც შეეხება განსხვავებას ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით, 2019 წელს ეთნიკური უმცირესობა ნაკლებად იწონებდა სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთან საქმიან ურთიერთობებს, თუმცა 2024 წლის მონაცემები, ამ ჯგუფებს შორის აზრთა ერთგვაროვნება ფიქსირდებოდა.

ეს ანალიზი ეფუძნება მულტინომიალური ლოგისტიკური რეგრესიის ორ მოდელს. პირველ მოდელში, დამოკიდებული ცვლადია „ყველაზე მეტად ვის არ ისურვებდით თქვენს მეზობლად?“ პასუხის სამი ვარიანტით: სექსუალურ უმცირესობებს, სხვას, არცერთს. ხოლო, მეორე მოდელის დამოკიდებული ცვლადია „მოუწონებდით თუ არა თქვენნაირ ადამიანს საქმიან ურთიერთობებს სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთან?“, პასუხის სამი ვარიანტით: მოვუწონებდი, არ მოვუწონებდი, არ ვიცი/უარი პასუხზე. ლოგისტიკური რეგრესიის დამოუკიდებელი ცვლადები მოიცავს: სქესს, ასაკს, დასახლების ტიპს, ეთნიკურ კუთვნილებას.

მიღებული შედეგები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 95%-იან სანდოობის დონეზე ($p<0.05$).

წინამდებარე ანგარიში მომზადდა პროექტის „ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა ჩართულობისთვის“ ფარგლებში, რომელიც CRRC-საქართველოს მიერ შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მხარდაჭერით განხორციელდა.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ მის ავტორებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს CRRC-საქართველოს ან შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) ოფიციალურ პოზიციას.